ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5700310

ნომერი: AR1863096

თარიღი : 18.11.2021

გაცემის თარიღი : 26.11.2021

გაცნობის თარიღი : 26.11.2021

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ნუცა ღოღობერიძის ქუჩა N9;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნინო ფარცხალაძე პ/ნ 01030005382
- ოთარ ლორთქიფანიძის 20

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში წარმოდგენილი თქვენი 2021 წლის 18 ნოემბრის №AR1863096 განცხადების პასუხად, რომლითაც ითხოვთ ტექნიკური შეცდომის გასწორებას სამსახურის 2020 წლის 3 ივლისის №5010108 ბრძანებაში, გაცნობებთ, რომ სამსახურში ასევე ფიქსირდება 2021 წლის 9 ნოემბრის №AR1861222 განცხადება იდენტური მოთხოვნით და იდენტური

დოკუმენტაციით. აღნიშნულ განცხადებაზე სამსახურის 2021 წლის 16 ნოემბრის №5687881 ბრძანებით დადგენილ იქნა გარკვეული სახის ხარვეზები და დაგევალათ შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენა. აღნიშნული დოკუმენტაციის წარმოსადგენად განგესაზღვრათ 30 სამუშაო დღე, რომელიც იწურება 2021 წლის 29 დეკემბერს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და ვინაიდან, იდენტურ მოთხოვნაზე სამსახურის პასუხი უკვე გეცნობათ და ამასთან, აღნიშნული განცხადება ამ ეტაპზე განუხილველი არ არის დარჩენილი, წინამდებარე განცხადება რჩება განუხილველი. ხოლო, 2021 წლის 09 ნოემბრის №AR1861222 განცხადების შემობრუნებისა და სამსახურის მიერ მოთხოვნილი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ სამსახური იმსჯელებს საკითხზე და მიიღებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებას.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge